**ხელშეკრულება № 11**

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**სოფ.ღორჯომი** 24.10. 2017 წელი

**ერთის მხრივ, სსიპ ,,ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა" (ს/კ 248053733) შემდგომში -„შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის რეზო გორგაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "SESEKO" (ს/კ 445 424 719) შემდგომში** - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის **როინ თურმანიძის** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**1.1.** ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**1.2.** „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

**1.3.** „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

**1.4.** „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

**1.5.** „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**1.6.** „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2 ხელშეკრულების საგანი

**2.1.** ხელშეკრულების საგანია საავტომობილო საწვავის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2. საწვავის შეძენა განხორციელდება სატალონე სისტემით. (CPV-09100000

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

**3.1** **ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 13230 (ცამეტიათასორასოცდაათი)ლარს.**

**3.2** საწვავის რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**3.3** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარდა ტრანსპორტირების ხარჯებისა სითხის მიწოდების შემთხვევაში) მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 ***მიმწოდებელი ვალდებულია:***

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის ტალონების (10,20,50და100 ტალონის ნომინალებით) მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც დაუყოვნებლივ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ტალონების გადაცემაზე შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი პირისათვის. (ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას);

ბ) შემსყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ტალონის წარდგენისთანავე უზურნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით (ტალონებით საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება).

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

დ) უზურნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

4.2 ***მიმწოდებელი უფლებამოსილია:***

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ წინამდებარე ხელშკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

4.3 ***შემსყიდველი ვალდებულია:***

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ)უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5 ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 5 (ხუთი) დღის ვადაში მოახდინოს ანგარიშსწორება.

## 6 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ,

რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

## 7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

## 8 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 9 ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 *წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:*

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მახრეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

9.2 ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

9.3 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

## 10 დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და **მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრამდე.**

## 12 დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

12.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 13 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი - შემსყიდველს.

## 14 მხარეთა რეკვიზიტები:

*შემსყიდველი:*

სსიპ „ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა“

მის: ხულო, სოფ. ღორჯომი

საბანკო რეკვიზიტი: სს „ლიბერთი ბანკი“

ა.ა GE90LB0121198207321000

ბანკის კოდი: LBRTGE22

**ს.კ 248053733**

დირექტორი:

რ.გორგაძე

*მიმწოდებელი:*

შ.პ.ს „SESEKO“

მისამართი: ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. №61, ბ.24

საბანკო რეკვიზიტი: სს „ტერაბანკი“

ანგარიშის N GE79 KS00 0000 0360 2048 21 GEL

ბანკის კოდი N TEBAGE22

საიდ. კოდი N 445424719

დირექტორი:

რ. თურმანიძე

დანართი №1

2017 წლის

## ფასების ცხრილი

| N | საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | წარმოშობის ქვეყანა | საორიენტაციო რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო საორიენტაციო ღირებულება | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიზელი | არაუმეტეს 100 PPM | რუსული | 7000 | 1.89 | 13230 | 2017წლის 30 ნოემბრამდე |
| | სულ ჯამი | | | | | 13230 | |

*მიმწოდებელი:*

შ.პ.ს ,,SESEKO“

მისამართი: ქ. ბათუმი რუსთაველის ქ. №61, ბ.24

საბანკო რეკვიზიტი: სს „ტერაბანკი”

ანგარიშის N GE79 KS00 0000 0360 2048 21 GEL

ბანკის კოდი N TEBAGE22

საიდ. კოდი N 445424719

დირექტორი:

რ. თურმანიძე

ხულო სოფ. ვაშლოვანი

თარიღი: 24.10.2017 წელი

## საწვავის მიღება - ჩაბარების აქტი N მ-024

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს „SESEKO“ ს.კ. 445 424 719 (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი წარმომადგენელის, რამაზ მელაძის და მეორეს მხრივ,

სსიპ''ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. დორჯომის საჯარო სკოლა ს.კ. (248 053 733 (შემდგომში „მყიდველი“), მისი წარმომადგენელის რეზო გორგაძე პ.ნ.(61 009 007 115) სახით, ვმოქმედებთ რა

ჩვენს შორის დადებული T №11 24.10.2017 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ვადასტურებთ, რომ გამყიდველმა გადასცა, ხოლო მყიდველმა მიიღო შემდეგი სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების საწვავი სატალონო სისტემით:

| საქონლის დასახელება | ტალონი , ნომერი, რაოდენობა | | | რაოდენობა (ლიტრი) | 1-ლტ ფასი დღგ-ს გარეშე | საქონლის ღირებულება | დღგ- % | დღგ-ს თანხა | ღირებულება დღგ-ს ჩათვლით | 1-ლიტრის გასაყიდი ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| დიზელი-0690 | 5-ლტ | 017005000509-017005000528 | 20 | 100 | 1,60 | 160,17 | 18% | 28,83 | **189,00** | |
| დიზელი-0690 | 10-ლტ | 017010001177-017010001196 | 20 | 200 | 0,00 | 0,00 | 18% | 0,00 | **378,00** | |
| დიზელი-0690 | 20-ლტ | | | 0 | 1,60 | 0,00 | 18% | 0,00 | **0,00** | 1,89 |
| დიზელი-0690 | 50-ლტ | 017050000523-017050000556 | 34 | 1700 | 1,60 | 2722,88 | 18% | 490,12 | **3213,00** | |
| დიზელი-0690 | 100-ლტ | 017100000642-017000000691 | 50 | 5000 | 1,60 | 8008,47 | 18% | 1441,53 | **9450,00** | |
| ჯამი: | | | | **7000** | **1,56** | **10891,53** | **18%** | **1960,47** | **13230,00** | **1,89** |

მიიღო:

ჩაბარა:

ხულო სოფ. ვაშლოვანი

თარიღი: 24.10.2017 წელი

საწვავის მიღება - ჩაბარების აქტი N მ-024

**ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს „SESEKO“ ს.კ. 445 424 719 (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი წარმომადგენელის, რამაზ მელაძის და მეორეს მხრივ,**

სსიპ"ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ღორჯომის საჯარო სკოლა ს.კ. (248 053 733 (შემდგომში „მყიდველი“), მისი წარმომადგენელის რეზო გორგაძე პ.ნ.(61 009 007 115) სახით, ვმოქმედებთ რა

ჩვენს შორის დადებული T №11 24.10.2017 ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ვადასტურებთ, რომ გამყიდველმა გადასცა, ხოლო მყიდველმა მიიღო შემდეგი სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების საწვავი სატალონო სისტემით:

| საქონლის დასახელება | ტალონი , ნომერი, რაოდენობა | | | რაოდენობა (ლიტრი) | 1-ლტ ფასი დღგ-ს გარეშე | საქონლის ღირებულება | დღგ- % | დღგ-ს თანხა | ღირებულება დღგ-ს ჩათვლით | 1-ლიტრის გასაყიდი ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| დიზელი-0690 | 5-ლტ | 017005000509-017005000528 | 20 | 100 | 1,60 | 160,17 | 18% | 28,83 | 189,00 | 1,89 |
| დიზელი-0690 | 10-ლტ | 017010001177-017010001196 | 20 | 200 | 0,00 | 0,00 | 18% | 0,00 | 378,00 | |
| დიზელი-0690 | 20-ლტ | | | 0 | 1,60 | 0,00 | 18% | 0,00 | 0,00 | |
| დიზელი-0690 | 50-ლტ | 017050000523-017050000556 | 34 | 1700 | 1,60 | 2722,88 | 18% | 490,12 | 3213,00 | |
| დიზელი-0690 | 100-ლტ | 017100000642-017000000691 | 50 | 5000 | 1,60 | 8008,47 | 18% | 1441,53 | 9450,00 | |
| **ჯამი:** | | | | **7000** | **1,56** | **10891,53** | **18%** | **1960,47** | **13230,00** | **1,89** |

მიიღო:

ჩააბარა:

## ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

დადასტურებული

სერია ეა

ეგზემპლარი

1 2309244

2 ოცდაოთხი ოქტომბერი 2017
ოპერაციის განხორციელების პერიოდი (რიცხვი,თვე (სიტყვიერად) წელი)

3 ოცდაოთხი ოქტომბერი 2017
გამოწერის თარიღი (რიცხვი,თვე (სიტყვიერად) წელი)

4 გამყიდველი

4.1 4 4 5 4 2 4 7 1 9
(საიდენტიფიკაციო ნომერი)

4.2 შპს SESEKO
დასახელება / სახელი, გვარი

5 მყიდველი

5.1 2 4 8 0 5 3 7 3 3
(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2 სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა
დასახელება / სახელი, გვარი

6 საცალო
ტრანსპორტირების დაწყების მისამართი

7
ტრანსპორტირების დასრულების მისამართი

8 სატრანსპორტო საშუალების მარკა,ნომერი

9

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | | | | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| ნავთობის მძიმე დისტილატები - გაზოილი სხვა მიზნებისათვის | | | | ლ | 7000 | 13230 | | 0 |
| 0 | 6 | 9 | 0 | კგ | 0 | | 2018.14 | |

10 ნავთობპროდუქტის იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი
11 ნავთობპროდუქტის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი
12 კორექტირებული ნსაფ-ის სერია

13 ტრანსპორტირების დაწყების დრო

14 ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დაწყების ადგილის ან ბუნკირების გეგმის სარეგისტრაციო ნომერი 1680033

15 ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დამთავრების ადგილის ან ბუნკირების გეგმის სარეგისტრაციო ნომერი -

16 ტრანსპორტირების სახე(საავტომობილო/სარკინიგზო) ტალონებით

17 **გადამზიდავი**
(სახელწოდება ან სახელი და გვარი)

18
საიდენტიფიკაციო ნომერი

19 საქონლის მიმღების ხელის მოწერა

20 საქონლის მიმწოდებლის ხელის მოწერა

**შენიშვნა:** პირველი ეგზემპლარი - მყიდველს, მეორე ეგზემპლარი - გამყიდველს

დამკვეთი:

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის N

3590055

ამობეჭდვის თარიღი 15/01/2018, 13:49:04

LB

# ლიბერთი ბანკი

**საგადახდო დავალება N** 5135661572

თარიღი 2017 წლის 24 ოქტომბერი

2

| | |
|---|---|
| | 0 |
| | GEL |
| | **13230.00** |
| | *თანხა სიტყვიერად* |
| | *ცამეტიათას ორასოცდაათი ლარი* |

გადამხდელის დასახელება: სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა, 248053733

გადამხდელის ანგარიში: GE90LB0121198207321000

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადამხდელის ბანკი: *სს "ლიბერთი ბანკი"*

ინფორმაცია პირის შესახებ, ვის მაგივრადაც ხდება გადახდა

დასახელება: 0

საიდენტიფიკაციო კოდი:

მიმღები დასახელება: *შ.პ.ს "SESEKO"*

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: GE79KS0000000360204821

მიმღების ბანკი/ხაზინა: *სს "ტერაბანკი"*

ბანკის კოდი: TEBAGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: *სწავლის ღირებულება*

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი: 24.10.2017

ბანკში შემოსვლის თარიღი: 24.10.2017

ლიბერთი ბანკი LB № 185 LBRTGE22

ხელმოწერა:

ბეჭდის ადგილი

248053733